

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს
საჭიროებისათვის „სხვადასხვა საქმიანობები და მათთან დაკავშირებული
მომსახურებების“ (წიგნის აკინძვა/ყდაში ჩასმა) მიზნით სახელმწიფო შესყიდვისთვის
შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი №1

ქ. თბილისი

27.03.2012 წ.

სხდომას უძღვებოდა:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:

გიორგი ჟღენტი - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის
მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;

სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის წევრები:

ალექსანდრე აპლაკოვი - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის
მინისტრის პირველი მოადგილე;

კახაბერ ჩხარტიშვილი - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის
სამინისტროს ადმინისტრაციულ და იურიდიულ საკითხთა დეპარტამენტის უფროსი;

ილონა გრიგოლია - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის
სამინისტროს ადმინისტრაციულ და იურიდიულ საკითხთა დეპარტამენტის იურიდიული,
საქმისწარმოებისა და კადრების სამმართველოს უფროსი (არ ესწრებოდა სხდომას საპატიო მიზეზის
გამო);

ვიანორ შელია - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის
სამინისტროს ადმინისტრაციულ და იურიდიულ საკითხთა დეპარტამენტის მატერიალურ-
ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი (არ ესწრებოდა სხდომას საპატიო მიზეზის
გამო);

სატენდერო აპარატის წევრები:

ლელა კიკაღიშვილი - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის
სამინისტროს ადმინისტრაციულ და იურიდიულ საკითხთა დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი.

მანანა ჭყეია - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს
ადმინისტრაციულ და იურიდიულ საკითხთა დეპარტამენტის საბიუჯეტო-საფინანსო სამმართველოს
მთავარი სპეციალისტი.

დღის წესრიგი:

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ
კლასიფიკატორით - 79971200 „სხვადასხვა საქმიანობები და მათთან დაკავშირებული მომსახურებების“
(წიგნის აკინძვა/ყდაში ჩასმა) მიზნით გამარტივებული ელექტრონული ტენდერის გამოცხადების
შესახებ.

2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ კლასიფიკატორით - 79971200 „სხვადასხვა საქმიანობები და მათთან დაკავშირებული მომსახურებების“ (წიგნის აკინძვა/ყდაში ჩასმა) მიზნით სატენდერო განცხადების და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტის დამტკიცების შესახებ.

(მომხს. გ. ჟღენტი - აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის თავმჯდომარე).

მოისმინეს: ინფორმაცია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ კლასიფიკატორით - 79971200 „სხვადასხვა საქმიანობები და მათთან დაკავშირებული მომსახურებების“ (წიგნის აკინძვა/ყდაში ჩასმა) მიზნით სატენდერო განცხადების და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტის დამტკიცების შესახებ.

(მომხს. გ. ჟღენტი - აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის თავმჯდომარე).


მომხსენებელმა - სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ სხდომას დასამტკიცებლად წარუდგინა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით დაგეგმილი კლასიფიკატორით - 79971200 „სხვადასხვა საქმიანობები და მათთან დაკავშირებული მომსახურებების“ (წიგნის აკინძვა/ყდაში ჩასმა) მიზნით სატენდერო განცხადების და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტის (დანართი -1). სამინისტროს მიერ გამარტივებულ ელექტრონულ სატენდერო განაცხადებაში შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 400 (ოთხასი) ლარს.

აზრი გამოთქვეს: სატენდერო კომისიის წევრებმა ვ. შელიამ და კ. ჩხარტიშვილმა მოიწონეს და დადებითად შეაფასეს ტენდერის ჩატარების განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი და ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი.


კომისიამ დაადგინა:


1. კლასიფიკატორით - 79971200 „სხვადასხვა საქმიანობები და მათთან დაკავშირებული მომსახურებების“ (წიგნის აკინძვა/ყდაში ჩასმა) მიზნით გამოცხადდეს გამარტივებული ელექტრონული ტენდერი.
2. დამტკიცდეს სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი (იხ.დანართი -1).
3. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატის წევრს მანანა ჭეყიას დადგენილი წესით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმირება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ.
4. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატის წევრს მანანა ჭეყიას 27 მარტს სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსება.

კომისიის თავმჯდომარე:

 / გ. ჟღენტი /


კომისიის წევრები:

 / ა. აპლაკოვი /

 /გ. ჩხარტიშვილი/

კომისიის აპარატის წევრები:

 /მ. ჩხარტიშვილი/

 /ლ. კაკაღეიშვილი/